

დათო ტურაშვილი

მატარებელი

სარკინიგზო პიესა

პარტიული მგზავრები:

გასილ გობეჩია
ვერა დარსაძე
ლილი ჭეიშვილი
ნოე ჩახავა
ვინმე ქემოკლიძე

უპარტიო მგზავრები:

კახელი კაცი
კახელის ცოლი
ვექილი გიორგი
ბატონი ელიზბარი
ქალბატონი ნინო
თამარი
ლუკა

ამ პიესის მოქმედება ხდება იმ მატარებელში, რომლითაც 1921 წლის თებერვალში, თბილისიდან ბათუმისკენ წავიდნენ საქართველოს მაშინდელი მთავრობის წევრები და ის ადამიანები, ვინც თვლიდა რომ დედაქალაქში დარჩენა მათთვის საშიში იყო, რადგან რუსეთის არმიის ნაწილები უკვე თბილისს უტევდნენ.

პიესის მოქმედება კი იწყება ზუსტად იქიდან, სადაც თბილისიდან წამოსული მატარებელი, პირველად გაჩერდება...

გობეჩია – სად ვართ?

გიორგი – გორში.

ჭეიშვილი – გორია?

გიორგი – (თავისთვის) გორია, ბატონო.

ჭეიშვილი – (გიორგის) მგონი ქალბატონი ვარ და არა ბატონი

გიორგი – (ლილი ჭეიშვილს) თუ გნებავთ ამხანაგს დაგიძახებთ, ალბათ თანაპარტიელებიც ასე მოგმართავენ ხოლმე.

კახელი – ნეტა გორის ციხე ღამითაც თუ ჩაანს ხოლმე?

დარსაძე – ქართლის გულში ვართ...

ქემოკლიძე – რა კარგი ატამი იცის გორში!

გობეჩია – ვაშლი?

ქემოკლიძე – კი, ვაშლიც კარგი აქვთ.

კახელი – უკაცრავად, მაგრამა მიწისძვრის შემდეგ გორში მოსავალი აღარ იყო და მართალია?

ქემოკლიძე – არ ვიცი, ბატონო, შარშანს აქეთ აღარც ვყოფილვართ. სახლი დაგვენგრა და სადღა ჩავიდეთ.

ჭეიშვილი – გორშიც გქონდათ სახლი?

ქემოკლიძე – სიდედრს ჰქონდა ჩემსას, მიწასთან გაასწორა რამდენიმე წამში.

დარსაძე – ვინ, სიდედრი?

ქემოკლიძე – სიდედრი არა, სახლი და მთელი ქონება. სიძეს უნდა ვაჩუქო და რაღას მაჩუქებდა, რამდენიმე ძირი ატამი დარჩა ეზოში, ეგ არის და ეგ.

კახელი – რაც დარჩა, ის თუ ისხამს?

ქემოკლიძე – ვერაფერს გეტყვით, ბატონო

გიორგი – მართლა რა საოცარი ატამი იცის გორში!

გობეჩია – ვაშლიც...

დარსაძე – კი, გორის ვაშლიც სასწაულია.

ჩახავა – რა გორი აგიტყდათ?

დარსაძე – გორში ვართ, ნოე ბატონო

ჩახავა – მთელი ღამეა მოვდივართ და ჯერ მხოლოდ გორში ვართ?!

გიორგი – თქვენმა მატარებელმა რომ გორამდე ჩამოაღწია, ესეც საკვირველია

ჩახავა – ამაზე სწრაფი მატარებელი რომ კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია, ესეც ჩვენი ბრალია?

გიორგი – თქვენმა პარტიამ და მთავრობამ ყველა პრობლემა მოაგვარა და ერთადერთი, რკინიგზის საკითხი ვერ გადაჭრა. მეც ამან გამაკვირვა.

დარსაძე – მგონი წელანდელივით ისევ სიძულვილი გალაპარაკებთ იმის გამო, რომ თქვენმა პარტიამ არჩევნებში ვერ გაიმარჯვა

გიორგი – მე უპარტიო გახლავართ და პოლიტიკური მოღვაწეობის სურვილიც კი არასოდეს მქონია

ქემოკლიძე – (ხელს დარსაძისა და ჩახავას მიმართულებით გაიშვერს) ამათ რა ენაღვლებათ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ და ბოლშევიკები რომ შემოვლენ...

ვერა დარსაძე – (გააწყვეტინებს) ბოლშევიკები ვერ შემოვლენ!

ქემოკლიძე – რატომ ვერ შემოვლენ?

ქალბატონი ნინო – მეც მაინტერესებს ქალბატონო და იქნებ აგვიხსნათ რატომ ვერ შემოვლენ ბოლშევიკები?

ბატონი ელიზბარი – (მეუღლის შეჩერებას შეეცდება) ნინო...

ქალბატონი ნინო – მაინტერესებს

დარსაძე – ვერ შემოვლენ რადგან მთელი შეგნებული კაცობრიობა და ევროპის პროგრესული ქვეყნები, წინ აღუდგებიან რუსეთის სამარცხვინო აგრესიას

გიორგი – (ღიმილით, მაგრამ გაბრაზებული) რასაკვირველია წინ აღუდგებიან, მთელი კაცობრიობის მთავარი საზრუნავი ხომ ახლა ჩვენი პატარა სამშობლოა

დარსაძე – ხელისუფლების სიძულვილმა ისე გაგაბოროტათ რომ საკუთარ ქვეყანასაც კი დასცინით

გიორგი – მე მხოლოდ საკუთარ თავს დავცინი და თანაც სიმწრით რომ სახელმწიფოს მართვა თქვენისთანა ავანტურისტებს მივანდე

ლილი ჭეიშვილი – დიდი მადლობა თუ არჩევნებში ხმა ჩვენს პარტიას მიეცით და...

ვერა დარსაძე – (აშკარად დაცინვით) დიდი ბოდიში, თუ იმედები ვერ გაგიმართლეთ

გიორგი – თქვენი იმედი არც არასოდეს მქონია

ნოე ჩახავა – მაშ რაღას გვემართლებით?

გიორგი – მე ლოგიკისა და პრაგმატიზმის იმედი მქონდა, რომელიც თქვენ, სამწუხაროდ, არ აღმოგაჩნდათ

ქემოკლიძე – სახელმწიფოს ორგანიზება საერთო ქართული სისუსტეა

გობეჩია – ქართველებს, მართლა ყველაფრის ორგანიზება გვიჭირს

კახელი კაცი – რათა ხალხო, ქელეხებში ყველაფერი კარქა გამოგვდის

ქემოკლიძე – ქელეხი მაინც გამონაკლისია

დარსაძე – უკაცრავად, თქვენ რომელ პარტიას ეკუთვნით?

ქემოკლიძე – სოციალ-რევოლუციონერი გახლავართ.

ჭეიშვილი – გასაგებია, ესერი ბრძანდებით.

ქემოკლიძე – დიან, ესერი ვარ

ჩახავა – თქვენი პარტიაც დამფუძნებელი კრების წევრი იყო და თუ რამის გაკეთება გინდოდათ, ხელი ვინ შევიშალათ?

ქემოკლიძე – თქვენ! სწორედ თქვენ! თანამდებობებს ისე ჩააფრინდით რომ ხალხი და ქვეყანა აღარც კი გაგხსენებიათ

დარსაძე – (ქემოკლიძეს) როგორ კადრულობთ ასეთ ტყუილს, სულ დაკარგეთ სინდისი? ჩვენი პარტია მთელს ქვეყანაში დაეძებდა ხალხს, რომ ვინმე მინისტრობაზე დაეთანხმებინა

ქემოკლიძე – თქვენი პრობლემაც სწორედ ეგ იყო რომ კადრებს მთელს საქართველოში ეძებდით, მაგრამ მხოლოდ თქვენს მხარდამჭერებს შორის

გობეჩია – გინდა ამ მატარებელში ვმჯდარვარ და გინდა იმ პარლამენტში, იქაც ასე ჩხუბში გაატარეს დრო თქვენმა დეპუტატებმა

დარსაძე – (გობეჩიას) თქვენ ეტყობა პოლიტიკა კარგად არ გესმით და თქვენთვისაც უმჯობესი იქნება თუ კამათში არ ჩაერევით

ბატონი ელიზბარი – მე კამათში ჩარევას საერთოდ არ ვაპირებ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი რომ ნებისმიერ სახელმწიფოს და მითუმეტეს ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას დაცვა უფრო სჭირდებოდა, ვიდრე გაუთავებელი ლაყბობა და თქვენმა მთავრობამ კი...

ნინო – ელიზბარ, გთხოვ დამშვიდდე

ბატონი ელიზბარი – საკმაოდ ძნელია დამშვიდება, რადგან მე, სამხედრო ოფიცერი სამსახურიდან დამითხოვეს, ჩვენი ჯარის ნაწილები დაშალეს, ასობით ოფიცერი გადააყენეს და ამით ქართულ არმიას ძირი გამოუთხარეს...

ჭეიშვილი – ეს უკვე ბრალდებაა!

ელიზბარი – (აგრძელებს) მე ახლა იქ უნდა ვიყო, იქ, ჩემს ჯარისკაცებთან, ამ უნიათო მთავრობის წყალობით კი აქ ვზივარ და ბათუმისაკენ მივყვები ამ წყეულ მატარებელს

დარსაძე – იქ რომ ყოფილიყავით, რამეს შეცვლიდით?

გობეჩია – მართლა პარლამენტში ხომ არ ვართ, ამ დავას და კამათს, ვინმე ჩასულიყო სადგურზე და ფრონტის ამბები გაეგო

ქალბატონი ნინო – (გახარებული) მართლაც კარგი აზრია

ლუკა – მე ჩავალ და გავიგებ, რა ხდება.

თამარი – მეც წამოვალ.

ლუკა – არ გეზარება?

თამარი – (ელიზბარს) მამა, გავყვები.

ნინო – (ელიზბარს) იმედია არ გაუშვებ

ელიზბარი – გაჰყვეს, თუ სურს

კახელის ცოლი – (ნინოს) ქალბატონო

დარსაძე – მე?

კახელის ცოლი – თქვენ არა, თქვენ ჭირიმე

კახელი – (ნინოს) ჩემი კნენა გთხოვთ

ნინო – დიახ

კახელის ცოლი – ქალვაჟი გყავთ?

ნინო – რა ბრძანეთ?

ცოლი – და-ძმანი არიან მეთქი?

ნინო – არა, ჯგუფის ამხანაგები არიან.

ცოლი – ჯგუფისა? რომელი ჯგუფის?

ნინო – საბუნებისმეტყველო.

ცოლი – რაო? ვერ გავიგე?

ნინო – უნივერსიტეტის მეგობრები არიან

ცოლი – უნივერსიტეტის?

კახელი – ნუ შეაწუხე კითხვებით.

კახელი – როდის ვაწუხებ? ვაწუხებთ, თქვენი ჭირიძე?

ნინო – არა, როგორ გეკადრებათ!

ცოლი – ხომ გითხარი, არ შემიწუხებია მეთქი.

კახელი – აბა რას გეტყოდა – მაწუხებო?

ცოლი – რათ არ მეტყოდა, ვითომ რა, მეერიდებოდა?

კახელი – მა არ მეერიდებოდა?

ცოლი – შენა მგონი, მგზავრობამ გაწყინა, ხო იცი

კახელი – ეხა შენ ნუ გაუტეხ შენებურათა და იქნებ ამ კულტურული ხალხის მაინც მოგერიდოს

ჩახავა – (ელიზბარს) ბატონო ჩემო, ბოდიში, მაგრამ წელან რომ ბრძანეთ – თქვენი მთავრობაო, ის მთავრობა თქვენი არ არის?

ელიზბარი – მე მეკითხებით?

ჩახავა – დიას, თქვენ.

ელიზბარი – მე არცერთ პარტიას არ ვეკუთვნი და თქვენს მთავრობაში მხოლოდ ერთ ფრაქციას ვუჭერ მხარს.

ჩახავა – მაინც რომელს?

ელიზბარი – ყველაზე ეროვნულს, რომელიც უმცირესობას შეადგენს.

ჩახავა – ასეც ვიფიქრე, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ რომ ჩვენ დემოკრატიული არჩევნები ჩავატარეთ და ხალხმა ჩვენ დაგვიჭირა მხარი

ელიზბარი – თქვენ ხმების უმრავლესობა მიიღეთ, მაგრამ

ქემოკლიძე – მაგრამ ისიც გახსოვდეთ რომ თქვენ ის არჩევნები მოიგეთ, რომელიც თვითონვე ჩავატარეთ

ჭეიშვილი – ვილაცას ხომ უნდა ჩავატარებინა არჩევნები

დარსაძე – რამე სხვა ბრალდება მაინც წამოგიყენებინათ ჩვენთვის

გიორგი – ყველაფერი წინ გაქვთ, იმდენ ბრალდებას წამოგიყენებენ რომ თავის მართლების სურვილიც კი აღარ გექნებათ

ჭეიშვილი – თავის გასამართლებელი არც არაფერი გვჭირს

ჩახავა – მხოლოდ უმადურებს შეუძლიათ არ დაინახონ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ

ბატონი ელიზბარი – (ჩახავას) უკაცრავად, თქვენი სახელი?

ჩახავა – ნოე

ელიზბარი – (გიორგის) ამ მენშევიკებს საერთო ნათლია ხომ არ ჰყავდათ, ყველას რომ ნოე ჰქვია?

ჩახავა – მე მითხარით რამე?

ელიზბარი – არ მინდა უმაღური ვიყო და ვაღიარებ რომ მნიშვნელოვანი საქმეებიც გააკეთეთ, მაგრამ ამის პარალელურად იმდენი გააფუჭეთ, რომ ხალხს იმ კარგის დანახვა აღარც სურს და აღარც შეუძლია დარსაძე – (ელიზბარს) ხალხის რა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენ, როგორც ყოფილი თავადი, ალბათ ყველაზე მეტად იმან გაგაბოროტათ რომ მიწები ჩამოგართვეს

ელიზბარი – ჯერ ეს ერთი მე ყოფილი თავადი არ განლავართ, რადგან თავადობას ვერავინ ჩამოართმევს ადამიანს და რაც მთავარია ჩვენი კუთვნილი მიწები და მთელი ქონება, ქართველ ხალხს ჩვენივე სურვილით გადავეცით, ქალბატონო ნოე...

დარსაძე – მგონი მე უკვე გითხარით ჩემი სახელი

ჭეიშვილი – სხვა არცერთ მთავრობას მსოფლიოში, ასეთი სიხარულით ხალხისთვის მიწები არც დაურიგებია

გიორგი – მაშ თვითონ ხალხს ეს სიხარული რატომ არ ეტყობოდა ხოლმე?

ჩახავა – ამით რისი თქმა გსურთ, რომ ხალხს მიწები არ მივეცით?

ქემოკლიძე – მიირთვით, ბატონო გიორგი! ატმისა არ იყოს, წყალიც გადასარევი იცის გორში.

დარსაძე – ამ ქვეყანაში მაინც ჭორები ურჩევნიათ სიმართლეს

(ლუკას გამოჩენისთანავე, ყველანი მას შეხედავენ ახალი ამბების მოლოდინში):

ლუკა – სადგურის უფროსი ვნახე, პირდაპირი მავთულია დაზიანებული და თბილისს ვერ ვუკავშირდებითო. გუშინდელი ამბავი დაადასტურა - ჯარს უკან დახევა უბრძანესო.

ელიზბარი – გვარდია?

ლუკა – გვარდიისა არაფერი ვიცითო.

გიორგი – ალბათ ვარჯიშობენ სადმე!

გობეჩია – არ გეკადრებათ, ჩემო ბატონო, ასეთი ლაპარაკი, გვარდიაზე ერთგული არავინ ჰყავს საქართველოს.

გიორგი – გვარდია მთავრობის ერთგულია და არა რესპუბლიკის. საქართველოს კი ახლა სტუდენტები და იუნკერები იცავენ

გობეჩია – ჩვენ?

გიორგი - ვინ თქვენ?

გობეჩია - სახალხო გვარდია.

ჯუანშერი - თქვენ გვარდიელი ხართ?

გობეჩია – დიახ, მე ეროვნული გვარდიას წარმოვადგენ

გიორგი - თქვენ აგერ ზიხართ ჩვენს გვერდით და ბათუმისაკენ მიჰყვებით ამ წყეულ მატარებელს.

კახელი – აღარ დავიძარით, ხალხო?

ცოლი - თამრო, მეც დამისხი, შვილო, სუ პირი მიშრება.

კახელი - შენცა?

ცოლი - ამასაც დაუსხი. შვილო, შენა მაგათა იცნობ?

თამარი - ვის?

ცილი - ამათა.

თამარი - ამ მატარებელში გავიცანი.

ელიზბარი - ძალიან ეროვნული გვარდია კი გვყავს, მეტი რომ არ შეიძლება, ჯერ მარტო ჰიშინი რად ღირს - „სალავეი - პტაშეჩკა“

გობეჩია - ჩვენი ჰიშინი - „ჩარი რამაა“

ქემოკლიძე - როდის აქეთ?

გობეჩია - ეგეც არ იცით?

ქემოკლიძე - მე ბატონო ვერაზე ვცხოვრობ...

დარსაძე - რა? შენ ვერაზეც გაქვს სახლი?

ქემოკლიძე - დიან ბატონო, მეც ხომ უნდა მქონდეს სადმე სახლი. ჰოდა ვერაზე ვცხოვრობ და ყოველ დღით ვხედავ, როგორ მოაბიჯებენ გვარდიელები „სალავეის“ სტვენით,

გობეჩია - ეროვნული გვარდია სტვენის მეტს არაფერს აკეთებს და მეტი არაფერი გაუკეთებია? განა ყველა ამბობს და აჯანყება საქართველოში, გვარდიამ არ ჩააქრო?

გიორგი - კი არ ჩააქრო, ჩაახშო.

გობეჩია - დიან, ჩაახშო და გვარდია ასე უნდა მოექცეს კიდევ ყველას, ვინც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს ხელყოფს და ტერიტორიულ მთლიანობას დაარღვევს

ნინო - მაგრამ ისინიც ხომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან და მგონი მათთან ურთიერთობისას, მეტი სიფრთხილე გვმართებდა

გიორგი - მითუმეტეს რომ საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრები, არაქართველ მოსახლეობაზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ ხოლმე

გობეჩია - მართალი ბრძანდებით, ქალბატონო ნინო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი გარედან მოწყობილი პროვოკაციები იყო

ნინო - მე ზუსტად არ ვიცი რას ნიშნავს პროვოკაცია, მაგრამ ვიცი რომ სანამ მხოლოდ გარეთ ვეძებთ ჩვენი პრობლემების მიზეზებს და არა საკუთარ თავში, პროვოკაციებს ყოველთვის მოგვიწყობენ

ჭეიშვილი - (გიორგის) სხვათა შორის, თქვენ რომ წარსული ახსენეთ, იმ საუკუნეების მანძილზეც ყველა პრობლემას სწორედ გარეშე ძალები უქმნიდნენ ამ ქვეყანას

ელიზბარი - თქვენ ყოველთვის გმობდით წარსულს, ყოველთვის გძულდათ თქვენი არასოციალისტი წინაპრები და ახლა რამ გაგახსენათ?

დარსაძე - ასეთი ბრალდება კი მართლა პირველად მესმის

ნოე - რა აღარ მოგვიგონეს

ჭეიშვილი - ცილისწამებაში მართლა რა მაგრები ხართ

(რამდენიმე მგზავრი ერთად დააპირებს მენშევიკებისთვის პასუხის გაცემას, მაგრამ კახელი მგზავრი ყველას დაასწრებს):

კახელი - ამდენ ჩხუბსა და აყალმაყალს, არ გირჩევნიათ ეს მირონივით ღვინო რო გამისინჯოთ? აი ამ ჩემი ფეხებითა მაქ დაწურული და მოდით, ხალხო, დავილოცოთ და სითბოს გაუმარჯოს, იმ სითბოს გაუმარჯოს, ჩვენ რო

გვაკლია. აემ შუა თებერვალში, აეს მზე მაინც რო გამონათებს ხოლმე, იმას გაუმარჯოს, ერთია, მაგრამ მაინც ყველასათვის ანათებს.

დარსაძე – როგორც რუსთაველი იტყოდა: ვარდთა და ნეხვთა?

კახელი – (გაბრაზებით) ჰოო, ვარდთა და ნეხვთა, რადგან სხვა და სხვანი კი ვართ, მაგრამ მაინც ერთ გზაზე ვდგავართ და ბოლოს მაინც ერთიდაიმავე მატარებელში აღმოვჩნდით

დარსაძე – მაშინ მეც მათქმევინეთ ერთი სადღეგრძელო

კახელი – თქვენი ნება არ არის?

დარსაძე – თქვენ აქ რუსთაველი ახსენეთ, რომელმაც ჯერ კიდევ როდის ბრძანა ლეკვი ლომისა სწორიაო და ამიტომაც ქალებს გაგვიმარჯოს! ახლა ჩვენს მთავრობაში მხოლოდ ერთი ქალია და მალე მოვა დრო, როცა საქართველოს მინისტრების უმრავლესობა ქალები იქნებიან...

გობეჩია – (გააწყვეტინებს) მერე და კარგია ეგ? ჭადის გამოცხობა არ გირჩევნიათ?

ჭეიშვილი – (დარსაძეს პასუხს დაასწრებს) რა თქმა უნდა გვირჩევნია, მაგრამ აღმოჩნდა რომ ქართველ კაცებს ქვეყნის მოვლა-პატრონობა აღარ შეუძლიათ

ნინო – ზოგჯერ პოლიტიკოსი ქალიც ისეთივე მძიმე შემთხვევაა, როგორც პოლიტიკოსი კაცი

დარსაძე – თქვენ გინდათ რომ ქართველი ქალი ისევე მხოლოდ მსუბუქი არსება იყოს ქართველი კაცისთვის ან სამზარეულოში გაატაროს მთელი ცხოვრება?

ჭეიშვილი – (ქალბატონ ნინოს) ვერც მე დაგეთანხმებით!

კახელი – ხალხნო! რაღაცაში მაინც, ზოგჯერ მაინც დაგეთანხმობთ ხოლმე ერთმანეთსა და სხვადასხვანი კი ვართ და სხვადასხვაგვარადა ვფიქრობთ, მაგრამ ე სამშობლო ხო ერთი გვაქვს და მოდით, იმ ერთ სამშობლოს გაუმარჯოს!

ლუკა – ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს!

თამარი – იმ ბიჭებს გაუმარჯოს, ვინც ახლა იმ ჩვენს სამშობლოს იცავენ

გიორგი – სამშობლოს დაცვას, როგორც ყველა საქმეს, სიყვარული უნდა, უსიყვარულოდ მაინც არაფერი გამოდის

ელიზბარი – ქართველი ხალხს სიყვარული ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ ახლა ზუსტად ისეთი მთავრობა შეხვდა, რომელსაც სიყვარული აკლია

კახელი – მაგრამა ის მთავრობაც ხო ჩვენ ვართ და ის ხალხიც ხო ჩვენ შევრეკეთ იმ პარლამენტში და ახლა ვეკითხებით მანდ როგო მოხვდითო

კახელის ცოლი – ერთი სადღეგრძელო მეც მინდა ვთქვა.

კახელი – რამე სისულელე არ წამოგცდეს, ქალო

ცოლი – ესა ჩვენს მემანქანეს გაუმარჯოს!

ჩახავა – ვის?

კახელის ცოლი – მატარებლის მესაჭესა. გიჟი რო გამოდგეს, ხო გადაგყრის ყველასა ხევში და გადაგჩენავს. ამიტომაც ყველაფერს სჭირდება თავისი მესაჭე და აი, ჩვენ რომ არა გვყავს კარგი მესაჭე, იმიტო მიგვდის საქმე ეგრე ფინთათ. მივდივართ და სად მივდივართ, ისიც არ ვიცით

კახელი – ხო გითხარი სისულელეს იტყვი-მეთქი.

ნოე – თქვენი სახელი არ ვიცი ქალბატონო, მაგრამ ის კი ვიცი რომ ჩვენს მთავრობას საკმარისი უნარი ჰქონდა ყველაფრისა და ამიტომაც ჰქონდა ჩვენს პატარა სახელმწიფოს ასეთი დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა

გიორგი – ხომ ხედავთ, თქვენც წარსულ დროში ლაპარაკობთ თქვენს მთავრობაზე და უკვე თვითონვე აღიარებთ რომ ყველაფერი დამთავრდა

დარსაძე – რუსები ველარასოდეს დაეპატრონებიან ჩვენს მიწა-წყალს და ჭეიშვილი – მთელი პროგრესული კაცობრიობა ჩვენ დაგვიცავს

გობეჩია – სად ვართ?

ქემოკლიძე – შორაპანია

გიორგი – შორაპანია

ელიზბარი – უკვე იმერეთში ვართ

გიორგი – ო, რა ხაჭაპური იციან იმერლებმა.

გობეჩია – ჭადი?

ქემოკლიძე – მართალს ამბობთ, რა ჭადებს აცნობს ბებიჩემი კეცებში.

დარსაძე – შენ აქაც გაქვს სახლი?

ქემოკლიძე – დედულეთია, ბატონო, ჩემი...

ელიზბარი – სანამ დაღამდება, მოვასწროთ და იმერეთის ხელების ცქერით კიდევ ერთხელ დავტკბეთ

გიორგი – ვინ იცის უკანასკნელად?

პირველი მოქმედების დასასრული

(რასაკვირველია იმ შემთხვევაში, თუ სპექტაკლი ორმოქმედებიანი იქნება).

II მოქმედება

(სიბნელეში ყველას ძინავს და ლუკა ჩუმად წამოდგება, წიგნებს ამოიღლიავენ და გასასვლელისკენ ფრთხილად წავა. თამარს მაინც გაელვიძება):

თამარი – ლუკა!

ელიზბარი – რა მოხდა, თამარ?

თამარი – ლუკამ დარჩენა გადაწყვიტა.

ელიზბარი – მერე?

თამარი – მეც დარჩენა მინდა

ელიზბარი – დედაშენს რას ეტყვი?

თამარი – არაფერს, ახლა ვერაფერს, ნუ გააღვიძებ

ელიზბარი – ჩვენ შეიძლება კარგა ხანს ვერ დავბრუნდეთ

თამარი – ვიცი

ელიზბარი – და მაინც დარჩენა გინდა?

თამარი – მაპატიე, მამა

(აცრემლებული ელიზბარი შვილს მაგრად ჩაიკრავს გულში)

ელიზბარი – მგონი მართლებიც ხართ რომ რჩებით, თქვენ რატომ უნდა დატოვოთ თქვენი ქვეყანა, თქვენ ხომ არაფერს გერჩიან და თუ წახვალთ, მერე მთელი ცხოვრება დაკარგულ სამშობლოზე უნდა იოცნებოთ...

(როცა ბატონი ელიზბარი მარტო დარჩება, კახელისაგან შექებასაც დაიმსახურებს):

კახელი – კაციც შენა ყოფილხარ!

(ელიზბარი რაღაცის, ალბათ მადლობის თქმას დააპირებს, მაგრამ ვერ მოასწრებს, რადგან ქალბატონი ნინო შეშინებული გაიღვიძებს):

ნინო – ძალიან უცნაური სიზმარი ვნახე

კახელი – გეძინათ?

ნინო – დიახ, მეძინა და ...

კახელი – თუ გეძინათ, ნახავდით სიზმარსა მა რა იქნებოდა.

ნინო – ძალიან უცნაური სიზმარი იყო.

კახელი – იცის ხოლმე სიზმარმა.

ნინო – იქნება სიზმარიც არ იყო?

კახელი – თუ გეძინათ, მაშ სიზმარი გინახავთ
კახელის ცოლი – ნუ შეაწუხებ შენებურათა, აცალე მოყოლა და მერე დაასკვნე
ნოლმე

ნინო – მგონი ჩვენი საფლავები დამესიზმრა, მაგრამ სადღაც შორს, ძალიან
შორს და წვიმდა

კახელის ცოლი – კარგია ეგა, ქალბატონო ნინო, საფლავის დასიზმრებამ
სიტკბო იცის, ღმერთმა სიმწარე კი გაშორით

კახელი – უკაცრავად კი ვარ, მაგრამა ერთი მაინც უნდა გკითხოთ

ნინო – დიახ

კახელი – ჩემი საფლავიც იყო იმ თქვენს სიზმარში?

ნინო – ყველასი, ვინც ამ მატარებელში ვსხედვართ

კახელის ცოლი – ისევ დაიწყე შენებურათა

ნინო – (ელიზბარს) თამარი სად არის?

ელიზბარი – ლუკა და თამარი დარჩნენ.

ნინო – მაშინ მეც დავრჩები

ელიზბარი – ეგ შეუძლებელია!

ნინო – შენ დატოვე?

ელიზბარი – თვითონ გადაწყვიტა დარჩენა

ნინო – და შენ არ დაუშალე?

ელიზბარი – ვერ დავუშალე

გიორგი – იქნებ უკეთესიც არის რომ დარჩნენ, ჩვენ ისიც კი არ ვიცით სად
მივდივართ და რა გველის

ნინო – არც მათ იციან რა ელით

გიორგი – თუ მათაც განსაცდელი ელით, ისევ სამშობლოში ურჩევნიათ

დარსაძე – ჩემი რჩევა იქნება წინასწარ პანიკას ნუ სთესავთ ხალხში და
სიმშვიდე შეინარჩუნეთ

ნინო – ჩვენც ისე მშვიდად ვიყოთ, როგორც თქვენი მთავრობის წევრები
სხედან ამ მატარებელში, როცა ფრონტის ხაზზე რიგითი ჯარისკაცები,
იუნკრები და სტუდენტები იღუპებიან?

ელიზბარი – (საკმაოდ გაკვირვებული) ნინო...

კახელის ცოლი – მართალს გეუბნებათ ეს კნენა, ყველაფერს გვპირდებოდით
და ბოლოს არაფერი შეგვრჩა ამ ერთი ტიკჭორა ღვინის გარდა

ჭეიშვილი – თქვენ კნენას ძახილი ვერ მოიშალეთ და ჩვენი ძმობისა და
თანასწორობისა, რა უნდა გაგეგოთ?!

დარსაძე – ჩვენ დიადი მიზნები გვქონდა, მაგრამ ჩვენი იდეების
განხორციელების საშუალება არ მოგვცეს

ქემოკლიძე – ვინ, ჩვენ?

გიორგი – იქნებ ჩვენ შეგიშალეთ ხელი?

ჩახავა – დიახ თქვენ, ყველამ ერთად, თქვენ ყველანი ერთად გვებრძოდით
შიგნიდან, როცა გარედან ისედაც ამდენი მტერი გვყავდა

ჭეიშვილი – მაინც რამდენი მოვასწარით და გავაკეთეთ
გიორგი – მთავარი მაინც ვერ გააკეთეთ
ელიზბარი – თავისუფლება ვერ შეინარჩუნეთ
დარსაძე – ჩვენთვის მთავარი ყოველთვის ჩვენი ხალხის უსაფრთხოება იყო
გიორგი – ვინც უსაფრთხოების გამო, თუნდაც სულ მცირე თავისუფლებას
დათმობს, ის არც ერთს იმსახურებს და არც მეორეს
ელიზბარი – და ორივეს კარგავს, ბენჟამინ ფრანკლინი
გობეჩია – (ფურცელს ამოიღებს და ჩახედავს) პიესაში ეს არ წერია
ელიზბარი – ვიცი, მაგრამ ცოტა ხნით მაინც უნდა შევისვენო
ქემოკლიძე – რაღა დარჩა, ისედაც მალე მთავრდება
გიორგი – ეს არასოდეს დამთავრდება
ქემოკლიძე – პიესაზე გეუბნებით, სულ ცოტა დარჩა
გობეჩია – როდის შევისვენებთ, ეს რეჟისორის გადასაწყვეტია
ჩახავა – მგონი მშვენივრად მიდიოდა რეპეტიცია
დარსაძე – სწორედ ეგ არ მოსწონთ ზოგიერთებს
ელიზბარი – მაინც რატომ?
დარსაძე – იმიტომ რომ მთავარი როლი მე მომცეს
ელიზბარი – იმედია იმ ზოგიერთებში მე არ მგულისხმობთ და იცით რომ
მთელი ცხოვრება მთავარ როლებს ვთამაშობდი
ნინო – თანაც ამ პიესაში ყველა როლი მთავარია
ჭეიშვილი – ამ პიესაში ყველა პერსონაჟი მნიშვნელოვანია
დარსაძე – ძალიან კარგად ვიცი ყველაფერი და მათ შორის ისიც თუ როგორ
იღებენ ამ თეატრში მთავარ როლებს, პრემიებს და წოდებებს
ელიზბარი – იმედია მე არც ახლა მგულისხმობთ
დარსაძე – იციან, ვისაც ვგულისხმობ
გობეჩია – ვისაც გულისხმობ, იმათ ისიც იციან ვინ შედის ყველაზე ხშირად
მთავარი რეჟისორის კაბინეტში და თან რა საქმეზე
დარსაძე – რა საქმეზე შევდივარ?
თამარი – დამშვიდდით და განვაგრძოთ რეპეტიცია.
დარსაძე – არა. მაინტერესებს, მაინც რა გგონიათ, რატომ დავდივარ ხოლმე
მთავარი რეჟისორის კაბინეტში?
კახელის ცოლი – გეყოფათ რა ხალხო, ბოლო-ბოლო თეატრში ვართ და არა
მატარებელში
ნინო – და პიესაც მატარებელზეა და არა თეატრზე
ნოე – მაგრამ ამ თეატრშიც და იმ მატარებელშიც ყველას მთავარი როლის
შესრულება უნდა, როგორც ყოველთვის ჩვენს ქვეყანაში და ეს ქვეყანა ამდენ
მთავარ როლს, მართლა ვერ უძლებს
გობეჩია – ძალიან ბავშვურად გამოგვდის
ქემოკლიძე – ქართველები სულ ასე, ბავშვებივით ჩხუბობენ ერთმანეთში და
ამიტომაც ყველაფერს კარგავენ ხოლმე...
ჩახავა – მგონი უნდა განვაგრძოთ.
გიორგი – მეც ასე ვფიქრობ

ნინო – გაგაგრძელოთ, ნულა ვიკამათებთ
ჭეიშვილი – ბარემ ჩაგამთავროთ კიდეც...

გობეჩია – სად ვართ?

ჯუანშერი – ციხისძირია.

დარსაძე – ციხისძირი?

გიორგი – ციხისძირში ვართ, ცოტაც და ბათუმში ვიქნებით.

დარსაძე – (ქემოკლიძეს) ბათუმშიც ხო მარ?..

ქემოკლიძე – (არ დაამთავრებინებს შეკითხვას) ბათუმში სახლი არა მაქვს და არც მქონია.

ელიზბარი – და აღარც გექნება.

ჩახავა – იქნებ ჩავიდეს ვინმე და გაიგოს რა ხდება.

დარსაძე – მე ჩავალ.

გიორგი – ეს კოსტუმი ბათუმში შევიკერე.

ელიზბარი – შარშან ერთი პრუსიელი შემხვდა ბათუმში, ყოფილი ოფიცერი, ჩემი ძველი ნაცნობი, სპეციალურად კოსტუმისთვის ჩამოსულა აქ. წარმოგიდგენიათ, ევროპიდან აქ!

ქემოკლიძე – ბატონებო, თბილისი აიღეს!

(სამარისებურ სიჩუმეში ქალბატონი ნინო ყველას ერთად მიმართავს ცრემლნარევი ხმით):

ნინო – ისევ ყველაფერი დაკარგეთ?

(თუმცა მას არავინ უპასუხებს და გემის საყვირის ხმას რომელიღაც ფრანგული სიმღერა მოჰყვება)...

ფარდა